



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.492123913

თარიღი:27/08/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 72

სს „სილქნეტი“-სათვის საკომუნიკაციო ქსელის მოსაწყობად, 2 (ორი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, გარე განათების ბოძების ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გატარების მიზნით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 11 აგვისტოს #48-482122311 წერილი, რომელშიც სს „სილქნეტის“ განცხადების საფუძველზე ითხოვს თანხმობას სს „სილქნეტი“-სათვის საკომუნიკაციო ქსელის მოსაწყობად, 2 (ორი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, გარე განათების ბოძების ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გატარების მიზნით, სარგებლობაში გადაცემას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, სს „სილქნეტი“-სათვის საკომუნიკაციო ქსელის მოსაწყობად, 2 (ორი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, გარე განათების ბოძების ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გატარების მიზნით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ დანართი #1-ის შესაბამისად.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 2021 წლის 27 აგვისტოს №72 განკარგულების
 დანართი №1

№	ქონების ადგილმდებარეობა	დასახელება და ფართობი	საკადასტრო კოდი
1	2	3	4
1	ქალაქი წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა N4-ის მიმდებარედ	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 14.0 ცალი ლითონის ბოძი.	29.00.637
2	ქალაქი წყალტუბო, 26 მაისის ქუჩის მიმდებარედ	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 15.0 ცალი ლითონის ბოძი.	29.00.636
3	ქალაქი წყალტუბო, ვაჟა-ფშაველას ქუჩის I შესახვევი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 6.0 ცალი ლითონის ბოძი.	29.00.639